კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	PhD in Economics

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	დოქტორანტურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	უმაღლესი

სწავლების ენა	პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	ეკონომიკის დოქტორი
ინლისურად:	PhD in Economics
პროგრამის ხელმძღვანელი	მაია გონაშვილი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის ოპტიმალური ვადა შეადგენს 3 წელს. პროგრამის მაქსიმალური ვადაა 4 წელი. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით: შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებით. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს (42 ECTS კრედიტი), სწავლება-ასისტირების კომპონენტს (18 ECTS კრედიტი) და კვლევით კომპონენტს (120 ECTS კრედიტი) და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც დოქტორანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი, ხელმძღვანელთან კონსულტაცია და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს (სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, თემის აქტუალურობის დასაბუთება, კვლევა).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს: • მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (უნდა წარმოადგინოს აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლიდან) • მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება ან 3.5-ზე მეტი GPA სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერ სპეციალობაზე • კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა • სამოტივაციო წერილი • წიგნის ან სამეცნიერო სტატიის 1-2 გვერდიანი მიმოხილვა-ანალიზი (აპლიკანტმა უნდა მიმოიხილოს ნებისმიერი წიგნი ან საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია ეკონომიკის კვლევიდან, რომელიც მან ბოლო დროს წაიკითხა. მათ უნდა აღნიშნონ რას ეხებოდა, რა ისწავლეს მისგან და რატომ მოეწონათ /არ მოეწონათ და რამდენად რელევანტური იყო გამოყენებული კვლევის მეთოდები,ასეთის არსებობის შემთხვევაში). • ამასთან ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, რაც უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი სერტიფიკატით (ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის არ ქონის შემთხვევაში ინიშნება გამოცდა). სერტიფიკატის წარდგენისაგან კანდიდატი გათავისუფლდება, თუ მაგისტრატურის კურსი გავლილი აქვს უცხო ენაზე

პროგრამის მიზანი	სადოქტორო პროგრამის მიზანია თეორიული საფუძველი შეუქმნას და განუვითაროს სასწავლო-სამეცნიერო-კველვითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მისცეს დარგისთვის საჭირო შესაბამისი თეორიული ცოდნა. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა გამოიყენოს თანამედროვე კვლევითი მეთოდები და საუკეთესო სწავლების მეთოდები. ამასთან მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი. მოცემული პროგრამის წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია უნივერსიტეტში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის კომბინირება გამოცდილების მიღების დროს. კერძოდ, დოქტორანტებს ექნებათ შესაძლებლობა სხვადასხვა მიმართულებით დაიწყონ მეცნირული სამუშაოები და გამოავლინონ თავიანთი პროფესიონალიზმი, მიიღონ ადამიანებთან საქმიან გარემოში ურთიერთობის გამოცდილება, რაც გარკვეულწილად მათი წარმატებული სამეცნირო და აკადემიური კარიერის საწყისი საფეხური იქნება.

პროგრამის სწავლის შედეგი	პროგრამა საქართველოში ეკონომიკის სისტემაში ჩართული პრაქტიკოსების, სპეციალისტების, ამ სექტორში დამსაქმებლებისა და საზღვარგარეთ ეკონომიკის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით ადგენს და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ შემდეგი შედეგის მიღწევას: დასკვნის უნარი: კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე შეუძლია რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რაც საშუალებას აძლევს შეიმუშაოს როგორც მთლიანად ეროვნული ეკონომიკის, ასევე ცალკეული დარგებისა და ფირმების განვითარებისათვის საჭირო და აუცილებელი მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები. კურსდამთავრებულს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებები სახელმწიფო, მუნიციპალური და დარგობრივი ეკონომიკის დონეზე. • ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და სინთეზის უნარი; • ეკონომიკის სფეროში სოციალური კვლევის მეცნიერული საფუძვლების გამოყენებით მეთოდოლოგიური და ეთიკური საკითხების შეფასების უნარი; • გადაწყვეტილების მიღებისას რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ძირითადი მეთოდების გამოყენების უნარი. • კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, • ეკონომიკაში არსებული სამეცნიერო კვლევებისა და რეკომენდაციების ადექვატურად და ეფექტურად დანერგვის უნარი; • პრობლემის ანალიზისთვის შესაბამისი რაოდენობრივი მეთოდის შერჩევის და გამოყენების უნარი. კომუნიკაციის უნარი: • სტატისტიკური, დემოგრაფიული, პროგრამული და სამეცნიერო ინფორმაციის ზუსტად და ეფექტურად წარდგენის უნარი ფართო აუდიტორიისათვის; • ეკონომიკის საკითხებზე პროფესიონალურად ხარისხიანი ანალიზის წერა მტკიცებულებებისა და ციტირებათა სათანადო გამოყენების მეშვეობით. • თანამედროვე ეკონომიკურ მექანიზმებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კომუნიკაციის უნარი სხვადასხვა რგოლებს შორის. • მიღებული ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენის უნარი, რაც მისცემს მას საშუალებას თავის კოლეგებსა და ფართო სამეცნიერო საზოგადოებას ეფექტურად და გასაგებად გადასცეს რთული და, ხშირ შემთხვევაში, სადავო ინფორმაცია არა მარტო ქართულად, არამედ უცხოურ ენაზე. სწავლის უნარი: • კურსდამთავრებულს უახლესი თანამედროვე ეკონომიკური მეთოდების შესწავლით და გამომუშავებული უნარების დახმარებით შეუძლია საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა და ამ პერიოდის სპეციფიკური პიროობების შესატყვისი დასკვნების, ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. • ეკონომიკაში სხვადასხვა სიტუაციების დასახასიათებლად, კონკრეტული მიმართულებით შესაბამისი მასალის მოძიება, გაცნობა , ანალიზი და გამოყენება; • ეკონომიკაში სიმულაციური მოდელების შედგენისა და შედეგების ინტერპრეტირების მიზნით მონათესავე დისციპლინებში ინფორმაციის მოპოვება და ცოდნის ინტეგრირება; • ცოდნის შემდგომი გაფართოების მიზნით, სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა. ღირებულებები: კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული კვლევის უნარის შედეგად შეუძლია ამ პროგრამის ფარგლებში არსებულ ღირებულებათა (შედგენილი პროგრამა უზრუნველყოფს

დასაქმების სფეროები	ეკონომიკის დოქტორს შეუძლია დაიკავოს შესაბამისი თანამდებობა სახელმწიფო სტრუქტურებში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით. ამასთან ეკონომიკის დოქტორები შეძლებენ პედაგოგიურთან ერთად, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო საქმიანობის განხორციელებას, ასევე კონკურენტუნარიანები იქნებიან პროფესიაში მაღალი პოზიციების საპასუხისმგებლო თანამდებობების დასაკავებლად. კავკასიის უნივერსიტეტი დოქტორანტურის კურსდამთავრებულთან აფორმებს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების შესახებ სამწლიან ექსკლუზიურ შრომით ხელშეკრულებას. გარდა ამისა, პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს შემდეგი მიმართულებებით: ➢ საგანმანათლებლო დაწესებულებები ➢ სამეცნირო და კვლევითი დაწესებულებები ➢ ანალიტიკურ ➢ კვლევითი ცენტრები ➢ სახელმწიფო და კერძო სექტორის ანალიზის, კვლევის, პროგნოზირების დეპარტამენტები ➢ ეკონომიკური პროფილის სააგენტოები და სამინისტროები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს: ➢ მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ➢ ყოველკვირეულ შეფასებას; ➢ შუა სემესტრულ შეფასებას; ➢ საბოლოო გამოცდის შეფასებას. სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, კაზუსი, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია, კვლევითი პრაქტიკის პორტფოლიოს დაცვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში. სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით: (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100% (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%. (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %. (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%. (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%. თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სადოქტორო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა: ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; ვ) არადამაკმაყოფილებელი (insuficient) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს

სწავლებისა და სწავლის მეთოდები	სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპრსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (case study) მეთოდი, ახსნა-განმარტების მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი (brainstorming), სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვ. სწავლება და სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
მიკრო და მაკრო ეკონომიკის ძირითადი კონცეფციები	კურსი მოიცავს თანამედროვე მიკრო და მაკრო ეკონომიკის მათემატიკურ მოდელებს. სხვადასხვა ეკონომიკური სკოლების მიერ განვითარებული კონცეფციების შედარებითი ანალიზის საკითხებსა და სხვადასხვა სიტუაციებში მიკრო და მაკრო დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების ტექნოლოგიებს	სავალდებულო	6	I
აკადემიური წერა	აკადემიური წერის სტილი მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის, რათა მან წარმატებით გაიაროს სადოქტორო პროგრამა, და შეძლოს უმაღლეს სამეცნიერო დონეზე სხავდასხვა აკადემიური სტილების გამოყენებით დაწეროს სტატიები და წარმოადგინოს კვლევის შედეგები. აღნიშნილი კურსი ეხმარება სტუდენტს განივითაროს მოხსენებების, ანგარიშების, თეზისების, სტატიების და წიგნის წერის უნარი.	სავალდებულო	6	I
ეკონომიკის სწავლების თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები	კურსი სწავლობს ამა თუ იმ ეკონომიკურ საკითხის სწავლების ტექნოლოგიებს თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. კონკრეტულ ეკონომიკურ საკითხებზე განხილულია ისეთი მაგალითები, რომლებიც აპრობირებულია მსოფლიო პრაქტიკაში. სტუდენტი სწავლობს დიდაქტიკურ ხერხებს, ეფექტური სემინარის, ლექციის თუ გაკვეთილის დაგეგმვასა და შეფასებას, აუდიტორიის მართის სტრატეგიებს, სწავლა და სწავლის უნარ-ჩვევებს და სხვა.	არჩევითი	6	I

მათემატიკა ეკონომისტებისათვის	კურსი წარმოადგენს ეკონომიკური განათლების უმაღლესი საფეხურის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. თანამედროვე ეკონომიკური თეორია, როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე, შეიცავს მათემატიკურ მოდელებს და მეთოდებს, როგორც ბუნებრივად აუცილებელ ელემენტებს. მათემატიკური მოდელების გამოყენება ეკონომიკაში საშუალებას იძლევა: ა) გამოვყოთ და ფორმალურად აღვწეროთ ეკონომიკური ცვლადებისა და ობიექტების ყველაზე მნიშვნელოვანი, არსებითი კავშირები; ამასთან რთული ობიექტის შესწავლა ითვალისწინებს აბსტრაქციის უმაღლეს ხარისხს; ბ) მკაფიოდ ფორმულირებული საწყისი მონაცემებიდან და თანაფარდობებიდან დედუქციის მეთოდებით მიიღება დასკვნები, რომლებიც ადეკვატურია განხილული ობიექტისა; გ) მათემატიკური მეთოდები იძლევა საშუალებას ინდუქციური გზით მივიღოთ ობიექტზე ახალი ცოდნა, რომელიც უმაღლეს ხარისხში შეესაბამება არსებულ დაკვირვებებს. დ) მათემატიკური ენის (აპარატი) გამოყენება ზუსტად და კომპაქტურად იძლევა საშუალებას ავხსნათ ეკონომიკური თეორიის დებულებები, მისი ცნებები და დასკვნები.	არჩევითი	6	I
სტატისტიკის თეორია	მოცემული კურსის მიზანია მოამზადოს სტუდენტი რათა კვლევიდან მიღებული მონაცემების ანალიზით კონცეპტუალურ დონეზე გაიგოს ანალიზის შედეგები. ყურადღება გამახვილდება კონცეფციებზე და კომპიუტერის მეშვეობით მონაცემების ანალიზზე. მნიშვნელობა ენიჭება კვლევითი პრობლემებისათვის სტატისტიკური მოდელების გამოყენებას.	არჩევითი	6	I
ეკონომიკური აზრის კონცეფციები და დოქტრინები	ეკონომიკა კაპიტალიზმამდელი ეპოქის ცნობიერებაში, საზოგადოების განვითარების პირველი დოქტრინა, ლიბერალური ეკონომიკური დოქტრინების წარმოშობა, ფიზიოკრატების კლასიკური დოქტრინა, ბრიტანული კლასიკური სკოლა: ღირებულებისა და განაწილების დოქტრინები, სახეცვლილი კლასიკური ლიბერალური დოქტრინები, კაპიტალიზმის პირველი სოციალ-კრიტიკოსები, კარლ მარქსის რევოლუციური დოქტრინა, ეროვნული ეკონომიკის დოქტრინები, გერმანულ-ფრანგული დოქტრინები, ინგლისელი მარჟინალისტები, არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრის დოქტრინები.	არჩევითი	5	I

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, საზოგადოებრივი არჩევანის თეორია	საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში, რესურსების ნაწილის გადანაწილება წარმოებს საზოგადოებრივ სექტორში, რომელსაც ძირითადად მართავს სახელმწიფო. ამ თვალსაზრისით, კურსი შეისწავლის: • სხვადასხვა ეკონომიკური სკოლების მიერ შემუშავებულ კონცეფციებს და მიდგომებს საზოგადოებრივ სექტორში რესურსების გადანაწილების პროცესთან დაკავშირებით; • საზოგადოებრივი პროდუქტის სტრუქტურას და მათი გადანაწილების მექანიზმებს თავისუფალ ბაზარსა და საზოგადოებრივ სექტორში • პოლიტიკის ბაზარზე, რესურსების გადანაწილების ეკონომიკურ ასპექტებს დემოკრატიულ საზოგადოებებში; • პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა დადებითი და უარყოფითი ეკონომიკური შედეგების დადგენის მეთოდოლოგიურ საკითხებს დემოკრატიულ საზოგადოებებში; სახელმწიფოს ეკონომიკური როლის, როგორც ინსტიტუტის, ეფექტიანობისა და მდგრადობის შეფასების საკითხებს საზოგადოებრივ სექტორში	არჩევითი	6	I I
ქეისები ეკონომიკაში- ძალაუფლება და ბაზარი ქართულ და ინგლისურ ენაზე – (**Cases in economics-power and market**)	კურსის მიზანია ქეისების ანალიზის საფუძველზე ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა: • საბაზრო სისტემის და სახელმწიფოს ფუნქციონირების დეტალური შესწავლა; • ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის საბაზრო და სახელმწიფო მეთოდების შესწავლა; • ზოგიერთ პრობლემასთან მიმართებაში თავისუფალი საბაზრო სისტემის საპირისპირო არგუმენტების ანალიზი • ორი ძალაუფლების, თავისუფალი საბაზრო სისტემისა და სახელმწიფოს ეკონომიკური მიდგომების შეპირისპირება – დადებითი და უარყოფითი შედეგების ანალიზი.	არჩევითი	5	I I
ეკონომეტრიკა	გამოყენებითი ეკონომეტრიკის კურსი მიმართულია, რათა გააფართოოს სტუდენტის ცოდნა ეკონომეტრიკული მეთოდებისა და მოდელების სხვადასხვა მიმართულებებით გამოყენების სფეროში. კერძოდ, კონკრეტული ეკონომეტრიკული გამოკვლევების მაგალითზე მოახდინოს ეკონომეტრიკული აპარატის პრაქტიკაში გამოყენება.	არჩევითი	6	I I

გამოყენებითი რეგრესია	ეს კურსი იძლევა მეთოდოლოგიურ ცოდნას, რომელიც აუცილებელია მონაცემების ანალიზის დროს, რაც გულისხმობს ინფორმაციის მოგროვებას, მონაცემთა ანალიზსს და დასკვნების გამოტანას გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა მიმართულებით. კურსი მოიცავს მეთოდოლოგიური ანალიზის წარმოებისათვის საჭირო სიღრმისეულ თემებს და ასწავლის მსმენელს ანალიზზე დაყრდნობით კვლევის შედეგების წარმოდგენის საშუალებებს.	არჩევითი	6	I I
რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	კურსი გადასცემს დოქტორანტებს მონაცმების შეგროვებისა და ანალიზის რაოდენობრივ მეთოდებს. იგი გათვლილია ისე, რომ სტუდენტმა ინდივიდუალურად შეძლოს რაოდენობრივი კვლევის ჩატარება. კურსის დასაწყისში მიწოდებული იქნება თეორიული საფუძვლები. დამსწრეები გაივლიან რაოდენობივი კვლევის მთლიან პროცესს. აგრეთვე კურსის დროს მოხდება თითოეული დოქტორანტის კვლევითი პროექტის განხილვა.	არჩევითი	6	I I I
ხარისხობრივი კვლევის მეთოდები	კურსი ამცნობს დოქტორანტებს მონაცმების შეგროვებისა და ანალიზის ხარისხობრივ მეთოდებს. იგი გათვლილია ისე, რომ სტუდენტმა ინდივიდუალურად შეძლოს, როგორც ხარისხობრივი, ასევე ინტეგრირებული კვლევის ჩატარება. კურსის დასაწყისში მიწოდებული იქნება თეორიული საფუძვლები. დამსწრეები გაივლიან ხარისხობრივი კვლევის მთლიან პროცესს. აგრეთვე კურსის დროს მოხდება თითოეული დოქტორანტის კვლევის დროს წარმოშობილი პრობლემებისა თუ შეკითხვების განხილვა.	არჩევითი	6	I I I
მრავალცვლადიან მონაცემთა ანალიზი	კურსი გადასცემს დოქტორანტს მონაცმების შეგროვებისა და ანალიზის რაოდენობრივ მეთოდებს. იგი გათვლილია ისე, რომ სტუდენტმა ინდივიდუალურად შეძლოს უმაღლესი დონის რაოდენობრივი კვლევის ჩატარება. მთავარი აქცენტი გაკეთდება სტატისტიკური პროგრამების დახმარებით მონაცემების ინდივიდუალურ დამუშავებაზე ისე, რომ გათვალისწინებული იქნეს ორგანიზაციის კომპლექსური ნიუანსები და კვლევის შედეგების დასაბუთებისა და განზოგადების მექანიზმები.	არჩევითი	6	I I I

სწავლება და ასისტირება	სწავლება და პროფესორის ასისტირება გულისხმობს დოქტორანტის ჩაბმას სასწავლო პროცესში ეკონომიკის მიმართულებით აკადემიურ პერსონალისათვის დახმარების გაწევის, რაც გამოიხატება ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯგუფში სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით მეცადინეობის - სემინარის ჩატარებაში, სამეცნიერო ხელმძღვანელის მეთვალყურეობით შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების, ტესტებისა და ქეისების მომზადებაში, ბაკალავრიატის სტუდენტთა წერითი ნაშრომების გასწორებაში, ბაკალავრიატის სტუდენტთა ზეპირ გამოკითხვაში.	სავალდებულო	18	I I/ I I I/IV
სადისერტაციო ნაშრომი	სწავლების ბოლოს დოქტორანტურის სტუდენტი გადის სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე. სადოქტორო პროგრამის სტუდენტი დისერტაციას იცავს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წინაშე პრეზენტაციის საფუძველზე, რომლის ხანგრძლივობა ორივე მხარეს შორის შეთანხმების საფუძველზე განისაზღვრება. სადისერტაციო ნაშრომი უნდა იყოს დასრულებული აკადემიური დოკუმენტი, რომელიც ასახავს მკვლევარის მიზნებს, შეხედულებებს სფეროს შესახებ და თავის თავში მოიცავს მოცემული მეცნიერული ხაზის განვითარების მკაფიო ანალიზს. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასების სისტემა განისაზღვრება კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის სადისერტაციო ნაშრომის დებულებით.	სავალდებულო	120	